№ 195

ხუთშაბათი, 7 სექტემბერი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 6 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 195

ხუთშაბათი, 7 სექტემბერი, 1900 წ.

რედაქცია:

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორი

უმორჩილესად სთხოვს მაისის თვეში მიღებულ მოსწავლეთა დედ-მამასა და მზრუნველთ **შემოიტანონ ნახევარის წლის სწავლის ფასი 8 სექტემბრამდე**, წინააღმდეგ შემთხვევაში, წესდების მე-14 § ის თანახმად, **მოსწავლენი სასწავლებელში ჩარიცხულად არ იქმნებიან ჩათვლილნი.** (4—6.—2)

## სკოლა და პანსიონი

### ა. ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის, რეალურ, კომერციულ და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის. ყმაწვილების მიღება—30 აგვისტოდგან.

ადრესი: ოლგინას ქუჩა (Ольгинская), სახლი დროზიშევისა, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (5—6.—3)

# ჩაი



მისის უდიდებულესობის სპარსეთის შაჰის სასახლის ვაჭარი.

1900 წლის მოსავალი

ჩაის სავაჭრო ამხანაგობა

ვ. პერლოვი და ამხ.

მოსკოვში



სავაჭრო მარკა მთავრობის მიერ დამტკიც.

ეს ჩაი ყველა საუკეთესო მაღაზიებს გაეგზავნა გასასყიდად.

საკუთარი განყოფილება იმიერ-კავკასიისა და ამიერ-კასპიის მხრისათვის ტფილისში, მეიდანი, სახლი ბაიანდუროვისა. (5—160—2)

კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების სადგომში

დღეს, 7 სექტემბერს,

**პროფესორი ვ. ვ. დოკუჩაევი**

წაიკითხავს მესამე

## ლექციას

ნიადაგის შესახებ. უკანასკნელი, მეოთხე ლექცია 9 სექტემბერს იქმნება წაკითხული.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

შესვლის ფასი 50 კაპეიკია. (1—6.—1)

ვისაც რაიმე საქმე აქვს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ნაწარმოებთა ანუ ბუნებით სიმდიდრის შესახებ **ქართველთა მემამულეთაგანს**, ვთხოვთ მიჰმართონ **რაფაელ ისარლოვს**, ქართველთა მემამულეთა წარმომადგენელს პარიჟის გამოფენაზედ.

Raphaël Isarloff Paris, rue des Fcoles, 40. (16—6.—13)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**ვ. გ. წერეთელი**—შინაგანი და ბავშვებისა—$11^1/_2$—$12^1/_2$ ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ა. მუღინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$11^1/_2$—$12^1/_2$.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათამდე.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არშანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ქალების პროგიმნაზია

ელენე ბახტაძისა

## დ. ხონში

ამით აცხადებს, რომ მოსწავლეთა მიღება უმცროს და უფროს მოსამზადებელ პირველ პროგიმნაზიულ და აგრეთვე წელს გახსნილ მეორე პროგიმნაზიულ კლასებში დაიწყება 20 აგვისტოდგან და გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა გამოგზავნონ პროგიმნაზიის უფროსის—ელენე ბახტაძის სახელობაზე. სწავლის საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე პროგიმნაზიულ კლასებში 30 მანეთია წელიწადში. (5—5)

## ახალი ამბავი

*** განსვენებულის კონსტანტინე ქრისტეფორეს ძის მამაცაშვილის ქვრივმა მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო სპალადგან:

„სასუფეველი ცათა მიენიჭოს თქვენს პატივცემულს მეუღლეს, კავკასიის არტილერიის სახელოვანს მეომარს. გიცხადებთ ჩემს გულითადსა და მხურვალე თანაგრძნობას, ღმერთი იყოს თქვენი ნუგეში“.

„მიხეილი“.

*** ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის სათევზო სამრეწველოთა სამმართველოს უცნობებია კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათვის, რომ 1901 წლის საიუბილეო გამოფენაზედ წარმოსადგენს სათევზო მრეწველობის ექსპონატებს ჩვენ შევიკრებთ ადგილობრივ მრეწველთა შორის და გამოგიგზავნითო.

*** საფილოქსერო კომიტეტის ექსპერტების თანაშემწეთა ადგილი 1901 წლ. 1-ლ იანვრიდგან გაუქმებული იქმნება.

*** მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს უკვე დაუმტკიცებია კისლოვოდსკში განზრახულ წყლის სამკურნალოს პროექტი. აღნიშნული სამკურნალო საუკეთესოდ იქნება წყლით მკურნალობის მხრივ მოწყობილი და მილიონზედ მეტი დაჯდებაო.

*** მეტეხის ციხეში ამ ჟამად პატიმართა საავადმყოფოს აფართოებენ. განზრახვა აქვთ გადამდებ სენით ავადმყოფნი სხვა სენით ავადმყოფებს მოაშორონ და ცალკე იქმნენ მოთავსებულნი.

*** სულით-ავადმყოფთა ქალაქის თავ-შესაფარის შესანახად დამდეგ 1901 წლისათვის 14,982 მანეთია გამოთხოვილი, 2,567 მანეთით მეტი, ვიდრე წარსულს წელს იყო გადადებული.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ სატრაქტირო გარდასახადის გამწერ კომისიის ასარჩევად 12 სექტემბერს ტრაქტირების პატრონთა კრება იქმნეს მოწვეული.

*** დღეს, 7 სექტემბერს, მიდის თიანეთში ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის მეორე დროებითი განყოფილება, რომელსაც შეადგენენ: თავმჯდომარე—წევრი სასამართლოსი ვ. ვ. ბოლდირევი, წევრნი ი. ო. პარჩევსკი და ვ. ე. პადალკო, ბრალმდებელის თანაშემწე ვ. მ. ვორონოვი და მდივანი ე. ი. ოვსიანნიკოვი. სესსია 9 სექტემბერს დაიწყება.

*** რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნები: „Кавказскій Вѣстникъ“ № IX, სექტემბრისა და კრებული პროზაიკულ და პოეტურ ნაწარმოებთა სპარსულს ენაზედ „კილიიდიადაბიიათ“. წიგნი შედგენილია სულთან-მეჯიდ განიევისა და ალი ისკანდერ ჯაფაროვის მიერ და ღირს ორ აბაზად.

*** ტფილისში განზრახულ სავაჭრო სკოლის დაარსების საქმეს ფინანსთა სამინისტრო თანაგრძნობით შეჰგებებია.

*** სამშაბათს, 5 სექტემბერს, ქალაქის გამგეობამ სხდომაზედ განიხილა სიები ზოგიერთ სახელმწიფო დაწესებულებათა, რომლებზედაც დარჩენილი ყოფილა საქალაქო გარდასახადი. უფრო მეტია ეს გარდასახადი დარჩენილი საინჟინერო უწყებასა და სახელმწიფო ქონებათა გამგეობაზედ. სულ დარჩენილი ყოფილა სახელმწიფო დაწესებულებებზედ ჯარიმიანად 266,337 მან. 19 კაპ. გამგეობასა და ამ დაწესებულებათა შორის დიდი ხანია მიწერ-მოწერა ყოფილა გარდასახადის დროზედ შეტანის შესახებ, მაგრამ ფული მაინც არ შეაქვთ, ამის გამო გამგეობამ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრან ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის წინაშე, დახმარება გაუწიოს, რომ დასახელებულ დაწესებულებათ დროზედ შეიტანონ გარდასახადი.

*** შემდგარია კომისია მთავარმართებლის საბჭოს წევრის ბ-ნი მიცკევიჩის თავმჯდომარეობით, რომელსაც მინდობილი აქვს იმპერატორი ალექსანდრე მე-II ს სამსჯავრო კანონდებულებათა გადასინჯვა და შემუშავება ადგილობრივ პირობათა მიხედვით. კომისიაში დანიშნულია სამიწად-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა იურის-კონსულტი.

*** ქართულ დრამატიულ საზოგადოებას გარდაუწყვეტია სექტემბრის შუარიცხვებში ახალგაზდა მოთამაშეთათვის გამოსაცდელი წარმოდგენა გამართოს, რომლისთვისაც უკვე მრავალს გამოუცხადებია სურვილი.

***ქართველ დრამატიულ საზოგადოებას უკვე აურჩევია დამფასებელი კომისია მცოდნე პირთაგან,

რომლებმაც საპრემიოდ წარმოდგენილი პიესები უნდა განიხილონ. პირველი კრება ხსენებულს კომისიას პარასკევს, 8 სექტემბერს, ექმნება.

*** როგორც ოზურგეთიდგან იწერებიან, უმთავრესი მმართველობა თანაგრძნობით მიჰგებებია თავ. ნ. თავდგირიძის თხოვნას, რომ მიეცეს მას კონცესია ოზურგეთ-ნატანების რკინის გზის შტოს გაკეთებისა იმ პირობით, რომელიც აღუნიშნავს თავ. თავდგირიძეს წარდგენილს პროექტში. ქალაქისთვის-კი კონცესიის მიცემა მმართველობას შეუძლებლად უცვნია.

*** როგორც ქუთაისიდგან იწერებიან, მარგანეცის მწარმოებელთა კრების თავმჯდომარე გ. ფ. ზდანოვიჩი მარგანეცის საქმეებისა გამო პეტერბურგში წასულა.

*** მომავალ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პროგრამის შესამუშავებლად, კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მოწოდების თანახმად, დანიშნულ იქმნენ კიდევ შემდეგნი: ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენლებად ქუთაისის გუბერნიის მემამულე თავ. პეტრე გ. წულუკიძე; ქუთაისის სამეურნეო სკოლის გამგე ბ-ნი ლიუბინსკი; მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს კავკასიის რწმუნებულის წარმომადგენელად კავკასიის სასოფლო მეურნეობის ინსპექტორი ბ-ნი ვ. ი. გეევსკი; ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან მე-2 გიმნაზიის ინსპექტორი ბ-ნი ი. ე. გამყრელიძე, თავ. ვ. ს. მიქელაძე, ა. მ. ჭყონია და იოსებ ალექ. გუნცაძე; პირუტყვთა მომშენებელ საიმპერატორო საზოგადოების ტფილისის განყოფილებისაგან ნ. გ. მაკიევსკი და ნ. ი. მარქაროვი; საინჟინერო უწყებისაგან —სამხედრო ინჟინერი პოლკოვნიკი გერასიმოვი. კავკასიის საატყო გამგეობისაგან უფროსი რევიზორი ი. ა. ბერნატოვიჩი და ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისაგან—ა. ა. იონესიანი.

*** ამ დღეებში ქალაქის ტეხნიკოს ბატონ ქურდოვანიძეს დაუთვალიერებია დიდუბის საქალაქო სკოლის სადგომის გვერდით ორსართულიანი შენობა. ეს შენობა მეტად ძველია თურმე დ იმდენად ჰქონია დახეთქილი კედლები, რომ მოსალოდნელია დაინგრეს და სკოლის შენობას დაეცეს. ქალაქის სასწავლებელთა კომისიის თავმჯდომარეს ყურადღება მიუქცევია ამ გარემოებისათვის და განკარგულება მოუხდენია, რომ შეწყვეტილ იქმნას დიდუბის სკოლაში სწავლა 8—11 სექტემბრამდე, რომელ დროშიც უნდა დაანგრიონ ხსენებული შენობა.

*** ოთხშაბათს, 6 სექტემბრისათვის, ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნული იყო განსახილველად საქმე ელისაბედ ჟურულისა, რომელსაც 10 წლის ქალის ნატალია მიხელიძის ტანჯვა-წვალება ჰბრალდება; მაგრამ რადგანაც ზოგიერთი მოწმეები არ გამოცხადნენ, საქმე შემდეგისათვის გადაიდო.

*** სოფ. მაკვანეთი (შემოქმედის საზოგადოება). მიხეილ კალანდარიშვილმა რევოლვერით მოჰკლა თავის მახლობელი სახლი-კაცის სოლომონ კალანდარიშვილის ცოლი მარინე. ეს საქმე როგორ ყოფილა:

სამი ოთხი წელიწადია თურმე მკვლელი მარინეს საავ-საქმედ ჩამოეკიდა, მაგრამ მარინე არა ჰნებდებოდა და ბოლოს აუკრძალა: დღეის ამას იქით ფეხი აღარ შემოდგა ჩემს სახლშიო.

ამაზედ გაბოროტებული მიხეილი მტრად გადაექცა და მოხერხებულს დროს-და ეძებდა თურმე, რომ ჯავრი როგორმე ეყარა. მარიამობის სწორს, სამშაბათს საღამოს, როცა სოლომონ კალანდარიშვილი შინ არ ეგულებოდა მიხეილს, მივიდა დამე, გაადო თურმე ფანჯარა, რომელიც მაგრად ვერ ყოფილიყო შიგნიდგან ჩაკეტილი, წაავლო მძინარე ქალს ხელი, გადაითრია კარში და რევოლვერი ჰკრა გულში. საბრალო უდანაშაულო უმაწვილმა, დედამ სამის პატარა შვილისამ იმავე წამს სული განუტევა. მიხეილმა ეს თურმე არ აკმარა და რამდენიმე ადგილას ხანჯლითაც დასჩხრა. რევოლვერის ხმაზედ უფროსს ბავშვს მაშინვე გაჰღვიძებოდა და კივილი მოერთო. ხმაურობაზედ მეზობლები მიცვივდნენ, მაგრამ მკვლელი გაიქცა. გზაში მგზავრობიდგან მომავალს სოლომონს თურმე შეჰხვდა და ამასაც ესროლა რევოლვერი, მაგრამ რადგან საწყაულით სოლომონი სიკვდილს ასცდა, ხოლო სახე-კი შეურუჯა. მკვლელი მესამე დღეს ჩაბარდა პოლიციას.

*** სამშაბათს, 5 სექტემბერს, პოლიციის მე-3 ნაწილში, ნიკოლოზ კ. იოსელიანმა გამოაცხადა, რომ ღამე ჩემის ბინიდგან თეატრის ქუჩაზედ ვიღაც ბოროტ-გან მზრახველთ შინ არ ყოფნის დროს მოპპარეს ორი პალტო, ღირებული 55 მანეთადო.

*** სამშაბათს, 5 სექტემბერს, საღამოს 9 საათზედ პოლიციის დარაჯმა ფარნა გაბილაიამ შეიპყრო იაკობ დავითის ძე მენაღაროვი, რომელსაც მერვე პოლიციის განყოფილებაში მკვლელობის ჩადენა ჰბრალდება.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ხერთვისი** (ახალქალაქის მაზრა). ამას წინად ივერიის № 177-ში ლაპარაკი გვქონდა სოფ. ხერთვისის მცხოვრებლებზედ და იმის შესახებ, თუ როგორ უდიერად ეპყრობიან ჩვენს სასიქადულო ძველს ციხეს. ახლა მინდა ორიოდე სიტყვა სხვაც რამე მოგახსენოთ; სახელდობრ-კი აი-რა: მარტო ხერთვისელებმა ამით არ ისახელეს თავი. ხერთვისმა ახლო-მახლო სოფლებში თავი გაითქვა აგრეთვე შესანიშნავის ქურდობით. ისე კვირას არ გაუვლია გაზაფხ[...]ს შემდგომ, რომ აქ ქურდობა არ მომხდარიყოს. მიზეზი ამისი ის გახლავს, რომ სოფელს უყურადღებოდ სტოვებენ მამასახლისი და მისი ნაცვალი და მთელი სოფლის ბედ-იღბალი გზირზეა დამოკიდებული. შარშან და შარშან წინ, როდესაც სოფელს დამის ყარაული ჯამაგირით ჰყავდა დაქირავებული, იშვიათად გაიგონებდა კაცი [...]რდობას, ეხლა-კი, რაც ყარაულობა ჯ[...]ით გააჩინეს (მიუხედავად იმისა, რომ [...] ვ-რობას მოწერილი ჰქონდა: „სოფელ[...] სადაც 50 კომლზედ მეტი მცხოვრებია“, დაქირავებული 3 დამის ყარაული უნდა ჰყავდესო) ხერთვისში ქურდობა ერთიორად გახშირდა. მაგრამ ერთია საყურადღებო: აქაური ქურდები იმისთვის-კი არა ქურდობენ, რომ შეიმატონ რამე, ან სხვას დააკლონ, არა, ისე „ხუმრობის გულისთვის“, როგორც ამბობენ ხოლმე. ეს სიტყვა ტყუილი კი არავის ეგონოს. აი აქ როგორ იციან ქურდობა: ერთ მშვენიერს დამეს, ან კიდევ შუადღისას, შეიპარება ერთ-ერთი მარდი ბიჭი ვისსამე სახლში, გამოიტანს რაც კი ჰნებავს და დამალავს სადმე. პატრონი, რასაკვირველია, მაშინვე დაფათურდება და მამასახლისს გამოუცხადებს. მამასახლისი წაიყვანს მწერალს, ერთ-ორს, ვითომდა შეგნებულს, კაცს, მიიყვანს გაქურდულის სახლში, დაათვალიერებენ დაკარგულს ნივთებსა და დასწერავენ „პრატაკოლს“. შავ პირს თეთრად გადაწერა იშვიათად ეღირსება ხოლმე, რადგანაც ამ დროს ქურდი შემოუთვლის ნივთების პატრონს თავისსავე ამხანაგის პირით: შენი ნივ[...]ი ჩემთან არის, გამომიგზავნე ამდ[...] და ამდენი მანეთი და ნივთებს უკ[...] ჯამოგიგზავნიო. ერთი სიტყვით, [...] ქურდობა-კი არა, ისე დროს გა[...]რება და თავის გართობაა როგორც მომპარველისთვის, ისე დამკარგველისთვის[...] ამას წინად აქაურს გლეხს [...] ერთმა გლეხმა აფლად [...]-ოდლიმ 400 მან. სხვა და სხვა ნივთები მოჰპარა. კუპეცომა მაზრის უფროსს გამოუცხადა; ამან სასტიკი ბრძანება მოსწერა მამასახლისს, მოსძებნე ქურდი და წარმომიდგინეო, მაგრამ მამასახლისმა, თქვენმა მზემ, თავი არ შეიწუხა: ეს ხომ ჩვეულებრივი ხუმრობააო. ამ შემთხვევით ისარგებლა ქურდმა, კუპეცოვს 15 მან. გამოართვა და ნივთები უკანვე დაუბრუნა. მეორედ მეორე გიდდის ვაჭრის იპარ ახმედ-ოღლი ბადალოვის მაღაზიიდგან ქვაბით ორი ფუთი ერბო, 70 მან. ფული და 300 მან. ფარჩა მოიპარეს შუადღისას. ეჭვი მეორე გიდდისავე ვაჭარ კუპეც აბბას ბოზბეკოვზედ მიიტანეს. მაშინ უკანასკნელმა ბადალოვს ორი მანეთი ფეხის ქირა მოსთხოვა და ერბო უკან დაუბრუნა (ერბოსაც 18 გირვანქა აკლდა, როცა მოიტანეს). ამ საქმის შესახებ მამასახლისმა ჩვეულებრივად „პროტოკოლი“ დასწერა და საქმე ამითი გათავდა. კარგი იქმნებოდა ამ არა სასიამოვნო და არა სასარგებლო ხუმრობით ქურდობას ბოლო მოეღებოდეს და, ვისგანაც ჯერ არს, დროზედ ალაგმავდეს თავგასულ მასხარა ქურდებს.

ხერთვისის სკოლის მასწავლებელი
გიგო შატბერაშვილი

## ჩვენებურ სემინარიელებისა და მათის მშობლების საყურადღებოდ.

ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ყოველ-წლივ რამდენიმე ახალგაზრდა მოდის ჩვენის მხრიდგან პოლტავაში აქაურ სემინარიაში შესასვლელად, რაიცა ერთს დაუსრულებელს თხოვნებსა და სხვა და სხვა კაცების შეწუხებას იწვევს და სხ. წინად ესე თხოვნა, თუმცა დიდის გაჭირვებით, მაგრამ მაინც სრულდებოდა და ამგვარად აქ უკვე შეასრულეს კურსი: გ. გელეიშვილმა, დ. ჩხაიძემ, კ. ხახანაშვილმა, დ.

## ფელეტონი

### ქიზიყის ავ-კარგი

(ხალხის მოკეთეთა საყურადღებოდ)

წელს სიღნაღის მაზრა-ქიზიყში კაი მოსავალი იყო სულადისა. ვაჭრებმა კოდი ხორბალი (3 ფუთია) 2 მანეთად დაიკვეთეს და ქერი—მანეთად. ო—ოვი თუქურმიშაში (დედოფლის წყარო) მზად მიტანილ კაი ქერს 50 კაპ. იღებს ფუთს, ხოლო თითონ 85 კაპ. აძლევს ცხენოსან ჯარს, რომლისათვისაც ყოველ წელიწადს 100,000 ფუთზედ მეტს ჰყიდულობს. ჰყიდულობენ აგრეთვე ამავე მაზრაში 200,000 ფუთამდე ქერ-ფეტვს (ქერის სიძვირეში დარიშილ ფეტვს აჭმევენ ცხენებს) ფოსტის გზის იჯარადრები, კერძო ეტლის პატრონები და მრავალნი სხვანი.

ყური ვათხოვოთ ქიზიყის სოფლების მრავალ ბეჩავ ხალხის შემდეგს ჩივილს: „სამგლე ვაჭრები ი რაღაცა ქაჯ-ეშმაკური მაშინის საწვრებით თვალ-და-თვალ გვაბრმავებენ დღისით-მზისითო“, და ადვილად გამოვიცნობთ, რომ 50 კაპეიკის ნაცვლად 40 კაპეიკზედაც ნაკლებ ისვამენ ფუთს ქერს ეს ვაჭრები, რომელთა ნოქრებს ყოველ ცისმარე დღეს ემდურიან ოთხსავ კუთხივ მრავალნი ქიზიყელნი ამ სიტყვებით: „ღვთის კაცებო, ქრისტიანებო! გაგიგონიათ ენგიდუნიაზე ეგეთი მასხარად აგდება ქვეყნისა და კანონისა: მიიტან ერთ მძიმე ურემ ქერს, დანდობილა აგიწონავენ მაშინის სასწორზე, გაჰკვრენ-გამოჰკვრენ ჩოტკს ი რაღაცა ქაჯურ ენაზე ადინდვების წაკითხვით—და პუპლუც! ოც ფუთამდინ-კი გაკლდება წყვის ვარაუდით. ეხვეწები, ემუდარები: ნუ გინდათ, კაცებო, თქვენი კვნესამე, ჩემი საცოდავი ცოლ-შვილის ცოდვა, ერთი საპყარი კაცი ვარ, ნუ მაკლებთ მაგთენს, მაგის ნახევარიც გეყოფათ ჩემისთანა ღატაკისაგან, შეჰხედეთ თქვენს გამჩენსო, მაგრამ ტყუილად შააყრი კედელს ცერცვს, როგორ თუ მაგას გვიბედავ, განა ჩვენ ქურდები ვართო, და შემოგიკურთხებენ, და თუ გაუჭირვეულდი ახირებულის შეპასუხებით, ერთი ლაზათიანადაც მიგტყეპავენ, მოგაყრიან თავში—აჰა, ამაზე მეტი გროშიც არ გერგება, წაეთრიე და საცა გინდა—გვიჩივლეო, და გამოგაგდებენ კიდეც ჯვარედინ გზაზე პანღურის კვრით. ეჰ, არა, ძმავ, საწყალი კაცის გაჩენაში ღმერთი არა რეულა! აბა, მოდი რას იზამ, სად უჩივლებ და როგორ დაუმტკიცებ უგროშ-ფულო უცოდინარი: მავანმა და მავანმა ესა და ეს ოინი დამმართაო, იგრევ შენვე, ცამდე ალალმართალს გამოგავლებენ პირში ჩალას! მაგრამ როდემდე, კაცებო, როდემდე! მთელი ქიზიყი რო შემოსილი მღვდლის ჯვარ-სახარებაზე დაიფიცავს:ი ქაჯ-ეშმაკური სასწვრებით ეგრე უღმერთოდ გვატყუებენ და უსამართლოდ გვაცლიან ხელიდამ იმოდენა სარჩო-საბადებელსო, მაშინ? მაშინ საითღა გაექცევიან ი ღვთის სამართალს ის-ის-ის... ის იუდას კერძნი, მოღალატენი, ჰაი!.. გლეხკაცობა მუდამ ათას ნაირ გაჭირების ჭირ-ვარამში ვართ და ფული გვიჭირს, როცა საბლის წვერზე ჩამოკიდებული ვიხრჩობით; როგორც გვიჭირდეს, იგრე გიღირდესო, და შენც რას იზამ, ივლი, ივლი უპატრონოდ და საითაც გინდა წახვიდე, ბოლოს მეტი გზა აღარა გაქვს, აჰყში კიდევ იმ შენს დამღუპავს, გამჩორკნავ სასწორს წააწყდებიო“!.. და სხვანი.

სიღნაღის მაზრა-ქიზიყში ხორბალიც დიდ-ძალი მოდის ასე, რომ მოუსავლობაში თელავის მაზრასაც და ზაქათალის ოლქსაც ჰკვებავს ხოლმე, მაგრამ რა გამოვიდა, ხსენებულ მაზრის მომხმარებლებს თუ ვაჭრებს პირდაპირ ქიზიყის მხვნელ-მთესველნი-კი არ აძლევენ სულადს, არამედ ქიზიყის უანგარიშო ვაჭრები, მოვახშეები და „ფოდრიადჩიკები“, რომელნიც ათასნაირად გაჭირვებულ ხალხისაგან კალოობაშივე ჩალის ფასად ყიდულობენ სულადს ფულზე და ვეჰზე ორ-ლიტრიანის ჩანახით. ასეთსავე სავაგლახო ტაფაში იწვის ქიზიყის დიდ-ძალი ღვინო, მა[...]ყლი, თამბაქო და მ[...]ალი სხვა სიმდიდრე-ჭირნახული [...] ტანჯვა-შრომით მიწად-მომქმედ ხალხისა.

მთავრობამ ჩინებულად შეიგნო, რომ სულადის მწარმოებელთა და მომხმარებელთა შუა ჩამდგარნი „ფოდრიაჩიკნი“ ყველის გუდასავით ყელთამდის იტენებიან სიმდიდრით ხ[...]ლადის ჩალის ფასად საყიდვით და ოქროს ფასად გასყიდვი[...], ლ[...] აი ამიტომაც დღეს თვით მთავრობავე აცხადებს საქვეყნოდ, რომ სოფლის მეურნეებმა და ჯარებმა პირდაპირ იქონიონ ერთმანეთთან ყოველგვარ სურსათის აღებ-მიცემობა კერძო ჩარჩ-ვაჭრების უშუამავლოდ, მაგრამ, როგორც ყველაში და ყველგან, აქაც ერთს ადგილას კეთილ საქმეთა შემაფერხებელი ძაღლის თავი ჰმარხია. საქმე ის არის, რომ არც ეს საქვეყნო საქმე მოდის თავს უფულოდ, უთანხოდ. ამ დღეებში ბოქაულს თ. ნ. დ. ერისთავს ჰქონდა მოლაპარაკება ქერის შესახებ თუქურმიშის ცხენოსან ჯარის უფროსებთან, რომელნიც დიდად მოხარულნიც არიან მთავრობის განკარგულებისამებრ თვით ხალხმავე აძლიოს პირდაპირ ჯარს ქერიც და სხვა სურსათიც, მაგრამ ამ საქმეს ისეთი მოწყობილება ეჭირება თანახმად მათისავე საწეს-რიგო დადგენილებისა, რომ თვის-თვეობამდე ჯარს ყოველ-დღე საკმაო ქერს აძლევდნენ ცხენებისათვის ადგილობრივ, [...] ანგარიშებს-კი ფულის მისაღებად [...] ბოლოს უნდა არდგენდნენ. [...]ნავე ითხოვენ წესისამებრ 5,0[...]0 მ. გირაოსაც სავინიცობოდ.

მაშასადამე საჭიროა წინადღითვე რამდენიმე [...]ასი მანეთი და თუმანი, რომ [...] აქვეყნო საკეთილო საქმე განხორც[...]ლდეს რომელისამე სახით, მაგალი[...], შეიძლება ქიზიყის ყველა სოფელმა თავისს კალოებზედ საზოგადო [...]ბარ-ბეღელი იქონიოს და ვისაც რამდენი ხორბლისა, ქერისა, ფეტვისა თუ სიმინდის გაყიდვა უნდა, ყველამ იმ თავის საზოგადო ბეღელს მიუწონოს ჩამორთმევით ფორმალურ ბარათისა, რომლის წარდგენით სულადის ნახევარ ფასსაც მიიღებს საამისოდ დაარსებულ ელევატორების კასსიდამ ხელის მოსანაცვლებლად. და როდესაც ელევატორი მთლად მიუწონავს საზოგადო სულადს ჯარებს, ფოსტის გზის იჯარადრებს, კერძო ვაჭრებს თუ მომხმარებლებს დროს შესაფერ მაზანდაზედ, მაშინ ყველას თავის საკუთნო ფულიდგან გამოერიცხება ელევატორის კასსიდამ წინადღითვე გატანილი ვალი მცირე სარგებლით, ელევატორის წარმოების წლიხვედრი ხარჯი, სამოქმედო თანხად გადასადები 5 ან 10 პროცენტი, რომელიც ისევ პატრონისავე საკუთრება იქნება, საზოგადო-საქველმოქმედო საქმის შესაწევარი და დანარჩენი მიეცემა პატრონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახუცრიშვილმა და ეხლა კიდევ სწავლობს მეოთხე კლასში ა. გრიგოლია. მაგრამ ყველა ესენი მადლობლები უნდა იყვნენ აქაური მარშლის თავად მ. ერისთავისა და უფრო-კი სემინარიის რექტორისა — მამა იოანე პიჩეტასი, რომელიც ერთობ კარგად ეპყრობა ჩვენებურებს და ზოგს მათგანს დიდი ნივთიერი დახმარებაც გაუწია. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს აქაურ სემინარიაში შესვლა ერთობ გაძნელდა, რადგან პოლტავის გუბერნია თხუთმეტი მაზრისაგან შესდგება და ამოდენა სამღვდელოებას მხოლოდ ეს ერთი სემინარია აქვს, რომელიც მხოლოდ სამასი კაცისთვის არის აშენებული; ამ ჟამად-კი ხუთასზედ მეტი მოსწავლე ირიცხება. ეს გარემოება იძულებულს ჰხდის სემინარიის მთავრობას უარი უთხრას არამცთუ სხვა ეპარქიიდგან მოსულებს, არამედ ბევრს აქაურსაც-კი; ამისათვის მამა იოანე პიჩეტამ საჭიროდ დაინახა ეუწყებინა ტფილისის სემინარიასა და ზოგიერთა ჩვენებური სასულიერო სასწავლებლების გამგეობისათვის, რომ როგორმე შეეჩერებინათ ჩვენის ახალგაზრდების აქეთ მისწრაფება, მაგრამ როგორც ეტყობა, ამისთვის მანდ ყურადღება არ მიუქცევიათ: შარშან-წინ ორი კაცი მოვიდა, შარშან ექვსი და წელს ჯერ ორი; ყველა ამათ უარი გამოეცხადათ და აი ამ უარის შესატყობად მოდიან ამ სიშორეზედ, ჰკარგავენ ძვირფას დროს და ეწევიან ამოდენა ხარჯს; ამასთან არის ხოლმე ისეთი შემთხვევაც, რომ ზოგი გზაში ცივდება, ზოგი ჰავას ვერ იტანს, ავად ჰხდებიან და რამდენისამე თვით აქა რჩებიან; ამათი მშობლები-კი იწერებიან: „აქედგან პატრონობა არ შეგვიძლიანო“ და სხ... ეხლახან კიდევ გვითხრეს, რომ რვა კაცი კიდევ მოემგზავრებაო აქეთკენ...

ასეთი არა სასურველი გარემოება გვაიძულებს მივმართოთ ჩვენებურ სემინარიელებსა და მათს მშობლებს, რომელთაც ჰსურთ თავისი შვილები რუსეთის სემინარიაში გამოზარდონ, რომ თავისს დროზედ მიჰმართონ ხოლმე მანდედგანვე თხოვნებით ან სემინარიის მთავრობას, ან-და უწმიდესს სინოდს და შემდეგისათვის დაანებონ თავი ხარჯის ასეთ ამაოდ გაწევას, მით უფრო, რომ ამ წლიდგან რუსეთის ყველა სემინარიაში შესასვლელად უექველად ეგზამენის დაჭერაა საჭირო.

ალ. მღებრიშვილი

30 აგვისტო, პოლტავა.

## უცხოეთი

**ჩინეთი.** ვერაფერი ეშველა ჩინეთის საქმეების გამო სახელმწიფოთა შეთანხმებას. რაიქმნება, როგორ გადაწყდება საქმე, ეკითხებიან თავიანთ თავს გაზეთები და შემდეგ უმატებენ: „სახელმწიფოთა კონცერტი ჯერ არ დარღვეულა. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სახელმწიფონი შეთანხმდებიან და საქმეს მშვიდობიანად გაათავებენ“. ისე მალ მალ იმეორებენ გაზეთები კონცერტის დაურღვევლობას, რომ უთუოდ ამ კონცერტს რამე შიში მოელის, თუ ისევე მთელი და დაურღვეველია. ბევრი გადაჭრით აცხადებს, რომ სახელმწიფონი ვერაფრის გულისათვის ვერ შეთანხმდებიან ჩინეთის საქმეების გამო. სწორედ უთანხმოებით აიხსნება ისიც, რომ ბევრს სახელმწიფოს რუსეთის ნოტაზედ ჯერ პასუხი არ გაუგზავნია. გაზეთი „Neue Freie Presse“ სწერს, მაგალითად, რომ ინგლისსა, საფრანგეთსა, იაპონიასა და ამერიკას ჯერ არ გაუგზავნიათ პასუხი რუსეთისათვისაო. იგივე გაზეთი ამბობს, რომ გერმანია არასოდეს არ დასთანხმდება პეკინიდგან ჯარის გაყვანასაო. ეჭვი არ არის, გერმანიას სხვანიც დაუჭერენ მხარს და ამით კონცერტის დარღვევა მოხდება. რუსეთს უკვე გაჰყავს თავისი ჯარი პეკინიდგან, ხოლო გერმანია სხვა ახალ ჯარსა ჰგზავნის იქ. ეს კიდევ არაფერი. გაზეთი „König. Hart. Zeitung“-ი სწერს: „დანციგში ბრძანება მოვიდა სამხედრო სამინისტროსაგან, შეადგინონ სია იმ აფიცერთა, რომელთაც ცხელ ქვეყნებში სამსახური შეუძლიანთ. იწვევენ სამსახურს გარეშე მყოფ აფიცრებსაც-კი“. აქედგან აშკარად სჩანს, რომ გერმანია ჯარს ჩინეთში დიდის ხნობით ჰგზავნის.

— „Times“-ში ამ გაზეთის კორესპონდენტი მორისსონი, აღწერს რა ელჩებისა და სხვა ევროპიელთა გაჭირვებას მოკავშირეთა ჯარის მიერ განთავისუფლებამდე, ამბობს: „იუნ-ლუმ, ტუნ-ფუ-შიანმა და ლი-პი-ხენმა მიიღეს იმპერატორის ბრძანება, რომელშიაც ნათქვამი იყო, ცეცხლითა და მახვილით დაანგრიეთ სელჩოები და შემშილით ამოსწყვიტეთ იქ მყოფი ევროპიელნიო. სელჩოების გარეშემო, ყველგან: სახლებსა, გალავანსა და სხვაგან ჩინელებმა ზარბაზნები დადგეს და იქიდგან განუწყვეტლივ ესროდნენ სელჩოებს. სურსათი ჩინელებმა მხოლოდ ერთხელ გამოგვიგზავნეს, 18 ივლისს. ამ დღეს მოგვივიდა რამდენიმე ნესვი და ერთი ტომარა ფქვილი“.

— როგორც პეკინიდგან იუწყებიან, მოკავშირეთა ჯარის უფროსისათვის გადაუციათ პეტიცია, რომელზედაც 10,000 პეკინში მცხოვრებ ჩინელს უწერია ხელი. ჩინელები სთხოვენ თურმე ამ პეტიციაში უფროსს, ჯარს ნუ გაიყვანთ პეკინიდგანაო.

— „Daily Teleg.“-ს ატყობინებენ პეკინიდგან, რომ მოკავშირეთა ჯარი მეტად უწესოდ და ბარბაროსულად ექცევა პეკინშიო. ამ გაზეთის კორესპონდენტის სიტყვით, ყველა სახელმწიფოს რაზმები სტარცავენ სახლებს; ისინი უცხო-ქვეყნელთა სადგომებსაც არ ინდობენ თურმე.

**ინგლის ტრანსვაალის ომი.** კრიუგერის ტრანსვაალიდგან გასვლამ დიდად აალაპარაკა გაზეთები. ბევრი ამ ამბავმა ძალიან დაალონა. „კრიუგერმა ტრანსვაალს თავი მიანება; აშკარაა, საქმე ძალიან ცუდად არის, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხუცი პრეზიდენტი სამშობლოს თავს არ მიანებებდაო“, ამბობენ ისინი. ბევრი სხვა ნაირადა ხსნის კრიუგერის მოგზაურობას. მათის აზრით, კრიუგერს უნდა უკანასკნელი საშუალებაც სცადოს: თვით გაჩნდეს ევროპასა და ამერიკაში და თვითონ სთხოვოს სახელმწიფოებს დახმარება. ინგლისური გაზეთები ერთხმად სწერენ, კრიუგერი გაიქცა, გაიპარა, შეეშინდა, ინგლისელებს არ ჩაუვარდე ხელშიო. რობერტსსა და სხვა გენერლებს უკვე გამოუცხადებიათ ბურებისათვის, კრიუგერი გაგეპარათ და თქვენ რადასა წვალობთ, ის სჯობია, იარაღი დაჰყარეთო. ისინი, ვისაც კრიუგერი ლორენცო-მარკეზეში უნახავს, ამბობენ, რომ პრეზიდენტი საშინლად გამოიცვალაო. მთელი საათობით მოხუცი ან დოცულობს, ან კიდევ ერთ ადგილს გაშტერებული უყურებსო თურმე.

## სასამართლოს მატიანე

თავ. კონსტ. ერმ. ნიჟარაძის საქმე.

სამშაბათს, 5 სექტემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის 1 სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის და მაზრის სოფელ ოფიშკვითის მცხოვრების თავ. კონსტანტინე ერმალოზის ძის ნიჟარაძისა, რომელსაც მკვლელობის ჩადენის განზრახვა ჰბრალდება. ამ საქმის გარემოება შემდეგია: წარსულ 1899 წლის 16 ნოემბერს, ქ. ბათუმში, ღამე თ-ნი სამსონ და ჭიჭიკო წულუკიძენი და კონსტანტინე ერმალოზის ძე ნიჟარაძე მისულან საროსკიპო სახლში, სადაც, როგორც საქმიდგან სჩანს, დაუწყიათ ყეჩიდი და უწესოება მოუხდენიათ; ერთს მათგანს რევოლვერიც დაუცლია. ეს ამბავი გაუგია პოლიციის დარაჯს დავით პაჩულიას, რომელსაც უთხოვნია თავადებისათვის დაწყნარებულიყვნენ, მაგრამ იმათ თავისი არ დაუშლიათ. პაჩულიას მაშინ ეს ამბავი პოლიციის მოხელის თავ. ჩიჩუასთვის უცნობებია. ჩიჩუა მისულა თუ არა, წულუკიძენი და ნიჟარაძე ეტლში ჩამსხდარან და წასულან. რათა სხვაგანაც არ ჩაედინათ უწესოება თავ. ჩიჩუა მათ ეტლით გაჰყოლია. როცა ბაზარში ჩამომხტარან, ჩიჩუას მოუნდომებია სამსონ წულუკიძის დაპატიმრება. წულუკიძეს გამოჰქომაგებია ნიჟარაძე, რომელსაც ამოუღია რევოლვერი და დაუძახნია თავ. ჩიჩუასთვის: „ხელს ნუ ახლებ წულუკიძეს, თორემ მოგკლავო“. ხოლო როცა ჩიჩუას თავისი არ დაუშლია, თავ. ნიჟარაძეს უსროლია რევოლვერი და დაუჭრია ჩიჩუა მარცხენა გვერდში. პირველად ეს საქმე განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რომელსაც დამნაშავედ უცვნია თავ. კონსტანტინე ერმალოზის ძე ნიჟარაძე და გარდაუწყვეტია: ჩამოერთვას თავ. კ. ნიჟარაძეს ყოველივე უფლება-უპირატესობანი და გაგზავნილ იქმნას კატორღაში 6 წლით. თავ. კ. ნიჟარაძემ სააპელაციო საჩივარი გადაიტანა სამოსამართლო პალატაში, რომელმაც სამშაბათს, 5 სექტემბერს, განიხილა რა ეს საქმე, დამნაშავედ იცნო თავ. ნიჟარაძე აღნიშნულს ბრალდებაში და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

---

შეიძლება ასეთი ელევატორი თითო საზოქაულოში მაინც თითო დაიარსოს ქიზიყმა და მთელმა საზოქაულომ ყოველ წელს იმაში შეკრიბოს სულადი ფუტკრის მადლიან ლალასავით. თუ ამასაც ვერ მოახერხებს ჯერ-ჯერობით ქიზიყი, ამას-კი შეიძლებს, თუ მისი ინტელიგენცია მხნედ ეცდება—თუქურმიში ჯარს მაინც აძლიოს ქერი, ვიდრე იმ საერთო საზოგადო ელევატორებს განახორციელებს. სწორედ ენით სანატრელი ღვთის წყალობა იქნება დიდძალ სულადიან ქიზიყისათვის ასეთ საზოგადო ელევატორების დაფუძნება. მაშინ მთელი მაზრა სიამოვნებით დაადგენდა პირ-შეკრულობის განაჩენებს, რომ არავის შესძლებოდა „ფოდრიადჩიკ“-ვაჭრებზედ სულადის გაყიდვა, ყველანი თავიანთ საზოგადო ელიავატორებში შეიტანდნენ და თვით ელევატორები მისცემდა ჯარებსაც და მრავალ სხვებსაც დროს შესაფერ მაზანდაზედ, და არა ჩალის ფასად, როგორც ყოველთვის, რის გამოც ყოველ წელს რამდენიმე ათასი თუმნები ეკარგება ქიზიყს ხალხის სავალალოდ და სავაგლახოდ.

სულადის ელევატორების მართვა-წარმოება დიდად მარტივი და საადვილო საქმეა, რადგანაც აქ ისეთი რთული და ხანგრძლივად დასაბრკოლებელი არა არის რა და თვით სულადიც ისეთივე საიმედო-ნაღდია, როგორც ხაზინის ბჭყვრიალა ოქრო, — პოლიპრიალები, მხოლოდ ელევატორების მოსაწყობად ფულია საჭირო, ფული და ფული, თორემ ამ მარტივ საქმისათვის მომზადებულ სანდო კაცებსაც ყოველთვის ვიშოვნით.

ნათქვამია: ყვითელი ოქრო შავის დღისათვისაო და აი სწორედ ასეთის შავის დღისათვის გადადებული ყვითელი ოქრო მოეპოვება დღეს მთელს ტფილისის გუბერნიას ერთ მილიონ ნახევრამდის და ამ რიცხვში სიღნაღის მაზრა-ქიზიყს—ორასი ათასი (200,000) მანეთი, მე მოგახსენებთ სასოფლო-სამეურნეო თანხისას, შემდგარს „სულის პურიდამ“. დღეს ეს ფული, რომელიც ყოველ-წელს საარაკოდ იზრდება „სულის პურის“ შექუჩებით და გაყიდვით, 3%-ტამდე იღებს სახელმწიფო ბანკში, და მაშინ-კი (თუ მთავრობა ამ ფულიდამ რამდენსამე ათას თუმანს საზოგადო ელევატორების დასაარსებლად დაახმარებდა ქიზიყს) უკანასკნელ 5%-ტსაც მოიტანდა, და ბოლოს, როდესაც ელევატორები თვით გაიკეთებდნენ საჭირო ძირის თანხას გაყიდულ სულადის ჯამიდამ ყოველწლიურ ნარიცხით, მაშინ ვალად აღებული სამეურნეო თანხის ფული ისევ მთავრობას დაუბრუნდებოდა შესანახად, — ამის უტყუარი თავდები იქნება საზოგადო ელევატორებში გირაოსავით შეტანილი სულადი და თვით იმავე სულადის ოქროსავით სინაღდე-სიმარტივე; ამასთანავე შეიძლება ელევატორების სამაზრო კასაში თვით მთავრობისაგანვე დანიშნულნი მოხელენი ჩადგნენ.

არა მგონია, რომ სასოფლო-სამეურნეო თანხა სხვა ამაზედ დიდს სამეურნეო-სამრეწველო საქმეში დაახმარონ ქიზიყს, რომელსაც ასეთი ელევატორები თვალ-საჩინოდ წასწევდა წინ ქონებრივად და ქონების წყალობით—გონებრივადაც. ეს სანატრელი საქმე რომ აცხადდეს, ამას ის წამალი ეჭირება, რომ ინტელიგენციის დახმარებით ხალხმა ნათლად და დაბეჯითებით დაანახვოს მთავრობას თავისი ასეთი დიდი საჭიროება. მშობელი დედაც-კი თავის „ვარდის კონას“ ძუძუს არ აძლევს, ვიდრე გულამოსკვნით არ ატირდება ბალანა, და ენა ამოდგმულ ხალხს ვინ რას მისცემს უთქმელად, უთხოვნელად. ტფილისის გუბერნიის ბევრმა სოფლის საზოგადოებამ მიიღო ამ სამეურნეო თანხიდამ ფული სესხად სხვა-და-სხვა საზოგადო საქმისათვის, რომელმა საზოგადოებამაც-კი დაბეჯითებით დაარწმუნა მთავრობა თავისს საჭიროებასა და მომავალ კეთილ საქმის დაბადებაში. მაშასადამე, ქიზიყელებმაც იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მთავრობა ამისთანა დიდად საკეთილო ელევატორების განხორციელებისათვის უფრო სიამოვნებით დაახმარებს მაზრას მაზრისავე შავის დღის გასათენად „სულის პურით“ შემდგარს თანხას, რომელიც, როგორც განვიხილეთ, ყოვლად-უშიშარ ნიადაგზედ იქნება დამყარებული, რითაც უფრო მეტად წახალისდება ქვეყანა თავისის მრეწველობა-მეურნეობით და ეცდება სხვა-და-სხვა ჭირნახულ-ნაწარმოებსაც. მსგავსივე კოოპერატიული ამბარ-საწყობები მოუმართოს თავისდა საბედნიეროდ და სახელმწიფოს სასახელოდ. აკი თვით უმაღლესმავე მთავრობამ შეგვიდგინა საამისოდ სამეურნეო ნორმალური წესდებაც, მაგრამ ჩვენ-კი დღესაც ყურზე გვძინავს ლუარსაბ თათქარიძისებურად.

სიღნაღის მაზრა-ქიზიყი—ეს საქართველოს ყველა კუთხეზედ ქონებრივად მდიდარი კუთხე—ყოველ წელიწადს დიდძალ სულადს, ღვინოს, არაყს, მატყლს, თამბაქოს, პარკს, საკლავს, ყველს, ერბოს, ბოსტნეულობას, ბაღეულობას, ხილეულობას და მეურნეობა-მრეწველობის სხვა ათასგვარ ნაწარმოებს იძლევა ქვეყნის დუქან-ბაზრებში გასატანად მავნე მაცდურ ჩარჩ-ვაჭართა გასახარად და შრომის ოფლის მღვრელ მეჭირნახულეთა გულ-სავალალოდ. დროა, სიღნაღის მაზრის ინტელიგენციამაც მამაპაპისებური საგმირო უნარი გამოიჩინოს (როგორც გამოიჩინა ქონებრივ შეძლებისა დაგვარად კახელ მევენახეთა, შავის ქვის მწარმოებელთა, ქართლელ მემამულეთა და იმერეთის მეაბრეშუმეთა ამხანაგობათ და სხ.), მოახდინოს სათათბირო კრებები, იშუამდგომლოს თითონაც მთავრობის წინაშე ხალხის საძაღლ-ღორედ გამხდარ ჭირნახულის საშველ თანხის შესახებ და ადრე და მალე დაიხსნას მეურნე ხალხი სისხლის-მწოველ ობობათა მომაკვდინებელ ბადე-ქსელებისაგან.

დიაღ, დროა გამოვიფხიზლოთ და ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ და დავიხსომოთ, რომ ვიდრე ჩვენის ქვეყნის მეურნეობა-მრეწველობის მილიონების ნაწარმოებს—ამ უმთავრესს წყარო-ავლადიდებას ჩვენის ხალხის ხორციელ და სულიერ ცხოვრებისას—სახეირო აღებ-მიცემობის დუქან-ბაზრებს არ აღმოვუჩენთ შინ და გარედ და ასიათასგვარ შემოტანილ საქონლის კოოპერატიულ ამხანაგობებსაც არ დავიარსებთ მტკიცე ძმობა ერთობის უშურლვარძლო ძალ-მადლით, ვიდრე ჩვენის ქვეყნის უმრავლესობანი ისევ და ისევ სხვათა საბედნიერო წარმატების მუქთა მუშა-მსახურნი ვიქნებით, ჩვენის ნაშრომ-ნაღვაწის ჭირნახულით ისევ სხვანი გასუქდებიან, სხვანი გაბატონდებიან უფრო მეტად, და ჩვენ-კი ქონების სიფრიფანა ფიტსაც ვერ მოვიკრავთ და წინ-წამწევ ნივთიერ ძალას მოკლებულნი ვერც გონებით დავწინაურდებით ყოველმხრივ თვალ-საჩინოდ და სასურველად.

ქიზიყელი მეურნე

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: ოდ)

(შემდეგი *)

დოშენტი კათალიკოზის კრებული ფრიად საყურადღებოა და ღირსია შესწავლისა იმ მხრივაც, რომ მით შესწავლება ქართული ფილოსოფიური ენა. სამაგალითოდ ამოვწერ ზოგიერთ ადგილებს.

მყოფისათვის არსებისა და შემთხვეულისა.

მ ყ ო ფ ი ზოგადი სახელი არს ყოველთა მყოფთაჲ: ესე უკვე მყოფი განიკვეთების არსებისა მიმართ და შემთხვეულისა; ა რ ს ე ბ ა ჲ უკვე არს საქმე თავით თვისით მყოფი, არა მოქენე სხვისაჲ შემტკიცებისმიმართ, ესე იგი არს თავსა შორის თვისსა მყოფი და არა სხვსა შორის მქონებელი ყოფისაჲ; ხოლო შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ი არს არსებასა შინა ხილული, ვერ შემძლებელი თავსა შორის თვისსა ყოფისაჲ, არამედ სხვისა შორის მქონებელი მყოფისა. რამეთუ არსებაჲ ვიდრემდე ქვემდებარე არს, ვითარცა ნივთი საქმეთა, ხოლო შემთხვევითი არს არსებასა შინა ხილული, ვითარ იგი სხეული და ფერი: რამეთუ არა არს ს ხ ე უ ლ ი ფ ე რ ს ა შინა, არამედ ფერი სხეულსა შინა არს უკვე სხეული ვიდრემე არსება, ხოლო ფერი შემთხვევითი; ეგრეთვე სულიცა და ცნობაჲ: რამეთუ არა არს ს უ ლ ი ცნობასა შინა, არამედ ც ნ ო ბ ა სულსა შინა; რომლისათვის არა ითქუმის ს ხ ე უ ლ ი ფ ე რ ი ს ა ჲ არამედ ცნობა სულისა. არს უკვე სული ვიდრემე არსებაჲ, ხოლო ცნობაჲ შემთხვევითი. რამეთუ მოსპობითა უკვე სულისათა მოისპობვის ცნობაცა: რამეთუ რაჟამს არა იყო სული, რასა შინა იყოს ცნობაჲ? ხოლო მოსპობითა ცნობისათა არა უეჭველად მოისპობვის სული: რამეთუ შესაძლებელ არს ყოფა სულისა თვინიერ ცნობისა.

ნათესავისათვის ნათესავთანისა და სახისა სახთანისა და ურთიერთარსთათვის.

ნ ა თ ე ს ა ვ ი სამ სახედ ითქუმის: ე რ თ ი ს ა უკვე სახისაებრ მ შ ო ბ ლ ი ს ა გ ა ნ, ვითარ იგი ისრაილისაგანი ისრაიტელად იწოდებიან; ხოლო მეორისა სახისაებრ მ ა მ უ ლ ი ს ა გ ა ნ ვითარ იგი იერუსალიმისანი იერუსალიმელად ითქუმიან დ პალესტინისანი პალესტინელად; ხოლო მ ე ს ა მ ი ს ა სახისაებრ ნ ა თ ე ს ა ვ ა დ ითქუმის განწვალებული სახეთა მიმართ, რომლისათვის არს სიტყვა ფილოსოფოსთა და რომლისა განმასაზღვრებელნი იტყვიან: ნ ა თ ე ს ა ვ ი არს უმრავლესთა და სახითა განყოფილთაჲ, რაჲ არსობით შესმენილი, ხოლო ს ა ხ ე ს ა ც ა ორნი შესწავებანი ჰქონან: რამეთუ ითქუმის სახედ ნაკვეთიცა და შესახედავი, ვითარ იგი სახე ანდრიანტისა ... ესრევე სცნობდ ნათესავისათვისცა და სახისა: პირველი ნათესავი, რომელი არა განიყოფვის ნათესავისაგან, არცა აქვს უპირველესი მისსა ნათესავი,—ნათესავი ხოლო არს და არა სახე და ეწოდების ნ ა თ ე ს ა ვ ო ა ნ ი ნათესავი... (ჩამატებულია შემდეგი სქემა):

ა რ ს ე ბ ა: სხეულიანად და უსხეულოდ.

ს ხ ე უ ლ ი ა ნ ი: სულიერად და უსხეულოდ.

ს უ ლ ი ე რ ი: მგრძნობელად ცხოველად და უგრძნობელად ნერგად.

მ გ რ ძ ნ ო ბ ე ლ ი ც ხ ო ვ ე ლ ი: სიტყვიერად და უსიტყვოდ.

ს ი ტ ყ ვ ი ე რ ი: მოკუდავად და უკუდავად.

მ ო კ უ დ ა ვ ი: კაცად პეტრედ, პავლედ და სხვად თითოეულად კაცად; ცხენად, კარად, ძაღლად და სხუად თითოეულად ცხოველად.

აქვეა ამ სქემის განმარტება:

ესე უკვე არსებაჲ განიკვეთების სხეულიანად და უსხეულოდ: ვინაჲცა სხეულიანი და უსხეულო სახენი არიან არსებისანი. კუალად სხეულიანი განიკვეთების სულიერად და უსულოდ: აჰა კვალად სხეულიანი, რომელი იყო არსებისა, ნათესავი არს სულიერისა და უსულოისა. კუალად სულიერი განიყოფვის მგრძნობელობითად დ უგრძნობლად,—მგრძნობელობითად ვიდრევ ცხოველად, სიცოცხლისა და გრძნობისა მქონებლად, ხოლო უგრძნობლად ნერგად, რამეთუ არა აქუს გრძნობა. გარნა სულიერად ითქმის ნერგი: ვინაიდგან აქუს მოზარდობითი და აღორძინებითი ძალი. კუალად ცხოველი განიკვეთების სიტყვიერად და უსიტყვოდ; სიტყვიერი მოკუდავად და უკუდავად; მოკუდავი კაცად სიტყვიერებად და პირუტყვად—ცხენად, ძაღლად და ეგევითირად, რომელნი არღარა განიკვეთებიან სხუათა სახეთა მიმართ, არამედ განუკვეთელთა მიმართ, რომელ არიან გვამნი. ხოლო განიყოფების კაცი პეტრეს მიმართ პავლეს, იოანეს და სხვათა თითოეულთა კაცთა, რომელნი არა არიან სახენი: რამეთუ სახენი არა მიითვალვენ ურთიერთას განსაზღვრებასა; ვითარ იგი სხეულიანი არა მიითვალავს განსაზღვრებასა უსხეულოსასა, და კაცი არა მიითვალავს განსაზღვრებასა ცხენისასა, ხოლო პეტრე და პავლე და იოანე ერთსა საზღვარსა მიითვალვენ კაცისასა, ეგრეთივე და სხვანიცა კაცნი; ვინაიდგან არა არიან ესენი სახენი კაცისანი, არამედ განუკვეთელნი, ესე იგი არს გუამნი...

მ. ჯანაშვილი

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 192.

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

გაზეთ „Cosmopolitan“-ის ერთი თანამშრომელი გადმოგვცემს, როგორ მუშაობდნენ ზოგიერთი ცნობილი ინგლისელი მწერალნი. მწერალი-ქალი ჯორჯ ელიოტი, მაგალითად, როდესაც წერას დააპირებდა, ჯერ შინაურებს შეჰყრიდა და გამოუცხადებდა, რომ წერას ვაპირებო. ეს იმასა ჰნიშნავდა, რომ ამიერიდგან აღარავინ უნდა შემაწუხოს, სახლში სიჩუმე არავინ უნდა დაარღვიოსო. შემდეგ თავისს კაბინეტს ალაგებდა, ბოლოს საუკეთესო საგარეო ტანისამოსს იცვამდა და იწყობდა წერას. როგორც ყველა კარგი სტილისტი და პსიხოლოგი, ელიოტი დინჯად სწერდა, ზოგჯერ ერთ წინადადების შესწორებას მთელი საათი უნდებოდა, ამიტომ დღეში თექვსმეტ პწკარზედ მეტს ვერა სწერდა. ჯორჯ ბანკროფტიც ასე დინჯად მუშაობდა და მეტად დიდ დროს ანდომებდა სტილს. დღეში ბანკროფტი სამას სიტყვას ძლივსა სწერდა. მუშაობდა ეს მწერალი მხოლოდ დილაობით 5-იდგან 11 საათამდე. სხვა დროს არ შეეძლო თურმე წერა; თუ არ დილით, ჩემი გონება არ მუშაობს, კალამი სრულიად არ მემორჩილებაო, ამასვე ამბობდა ტროლლოპი, მაგრამ ეს უკანასკნელი დღეში (ესეც მხოლოდ 5—11 საათამდე მუშაობდა) ათას სიტყვას მაინც ასწრობდა. ტროლლოპიც სტილს დიდს ყურადღებას აქცევდა, ამიტომ ხელთნაწერს, ვიდრე დასაბეჭდად გაგზავნიდა, სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ წაიკითხავდა ხოლმე.

ტენნისონი თავისს ყოველ-დღიურ სამუშაოს დამტვრეულ ჩიბუხების რიცხვითა ჰზომავდა ხოლმე. როდესაც სამუშაოდ ჯდებოდა, ცალ მხარეს სტოლზედ თამბაქოთი სავსე ყუთს უდგამდნენ, მეორე მხარეს—უთვალავ თიხის ჩიბუხებს. მუშაობის დროს განუწყვეტლივ თამბაქოსა სწევდა, მაგრამ ერთისა და იმავე ჩიბუხით არასოდეს ორჯელ არ მოსწევდა ხოლმე. ტენისონი იღებდა ჩიბუხს, სტენდა თამბაქოთი და სწევდა, როდესაც ათავებდა, ჩიბუხს ამტვრევდა და ნამტვრევებს იატაკზედა ჰყრიდა, შემდეგ მეორე ჩიბუხს იღებდა, და ასე, ვიდრე მუშაობას ათავებდა. გაუგორპს უფრო უცნაური ჩვეულება ჰქონდა. როდესაც თავისს საწერ სტოლთან იჯდა და თხზულებაზედ ფიქრობდა, იგონებდა შინაარს, ან სხვა რასმეს არკვევდა, უეჭველად მაკრატელს ან დანას იღებდა ხელში და რამესა სჭრიდა. დანით ხშირად სტოლსაცკი აფუჭებდა, მაკრატლით კიდევ ბევრჯელ ტანისამოსის კალთებს იჭრიდა. ერთხელ გაუგორპის ცოლს ქმრის სავარძელზედ ახალი წამოსასხამი დარჩენოდა. ფიქრის დროს გაუგორპს ეს წამოსასხამი მაკრატლით სულ ნაკუწ-ნაკუწად ექცია.

ნატურალისტს ბუკლენდს არ შეეძლო წერა, თუ არ ფეხშიშველას, როდესაც სტოლთან საწერად ჯდებოდა, ტუფლებს იცვამდა, მაგრამ იმდენ ხანს უხახუნებდა ფეხიფეხს, რომ ჯერ ტუფლებს იძრობდა, შემდეგ ჩულქებს. ერთხელ ბუკლენდს ასეთი საქმე შეემთხვა. რკინის გზით სადღაც მიდიოდა; ვაგონში დასძინებოდა და სიზმარში ენახა ძალიან გარკვევით, ვითომ დაეწერა თავისის უკანასკნელ თხზულების ერთი თავი, რომელზედაც ბოლოს დროს ძალიან ბევრი ეწვალა. როდესაც მატარებელი სადგურზედ მისულა, კონდუქტორს გაუღვიძებია; ბუკლენდი დაფეთებული წამომხტარა, გავარდნილა გარეთ და შურდულივით სახლისკენ გაქანებულა სიზმარში ნანახის ჩასაწერად. ქუჩაში გამვლელ-გამომვლელნი გაკვირვებულნი, ღიმილით უყურებდნენ ბუკლენდს. როდესაც შინ მისულა, ბუკლენდს მხოლოდ მაშინ გაუგია, რომ ფეხშიშველა ყოფილა. თურმე ვაგონში, ძილის დროს, ფეხები იმდენხანს უხახუნებია, რომ ფეხსაცმელი გაუძვრია.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 სექტემბერი

**პეტერბურგი.** არა-ოფიციალურად. მთელი უმთავრესი შტო ჩინეთის რკინის გზისა ავაგაიტუიადგან დაწყებული პოგრანიჩნამდე, 1,380 ვერს-ს მანძილზედ, გაიარეს ჩვენმა ჯარებმა და ეს გზა გაწმენდილია ჩინელ რაზმებისაგან; რკინის გზის მუშანი, დათხოვნილი მანჯურიიდგან და წასულნი ხაბაროვსკსა, ნიკოლსკსა და ვლადივოსტოკში, დაბრუნებულ იქმნენ ლიანდაგზედვე.

**ლორენცო-მარკეზი.** უცხო-ქვეყნელთა მიერ დაქირავებულთაგან გუშინ კომატიპორტი გაძარცვულ და დაწვულ იქმნა, რადგან ამ ადგილის ინგლისელთაგან დაჭერას მოელოდნენ. ბურები უკან იწევენ ზუტპანსბერგისაკენ.

**პიტერმარიცბურგი.** დაბეჯითებით ამბობენ, რომ რობერტსი პრეტორიიდგან ინგლისში 20 სექტემბრის რიცხვებში წავაო.

**პეკინი.** იმ აზრით, რომ მოსპობილ იქმნას სურსათის გაძარცვა, დადგენილ იქმნა,—სურსათის ყოველ რაზმთან თითო აფიცერი დაინიშნოს, რომელმაც ბარათები უნდა დაარიგოს სურსათის მისაღებად.

**გააგა.** საგენერალო შტატები დღეს სეფე-სიტყვით დაიწყო, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ სამშვიდობო კონფერენციის კონვენციები შეწყნარებულ იქმნა ყველა დიდ სახელმწიფოსაგან და მოსალოდნელია, რომ საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს ბიურო, რომელიც ჩქარა იქმნება დაწებული გააგაში, შეიძლებს თავისის მოვალეობის აღსრულებას საერთაშორისო უთანხმოებათა მშვიდობიანად გარდაწყვეტისასაო.

**პეკინი.** რუსეთის ელჩმა გირსმა წასვლის ვადა რამდენისამე დღით გადასდო; რუსთა ჯარმა ბრძანება მიიღო პეკინში ყოველივე დასაზამთრებელი სამზარისი მოსპოს.

**ლონდონი.** იუნ-ლუს მესამე რწმუნებულად დანიშვნამ დიდად საბუთიანი წინააღმდეგობა გამოიწვია. როგორც ეხლა ირკვევა იუნ-ლუს ჯარს მონაწილეობა მიუღია საელჩოებზედ თავ-დასხმის დროს თვით იუნ-ლუს ბრძანებით, თუმცა იგივე იუნ-ლუ ბოლოს იმავე უცხო-ქვეყნელებს უფრო თანაგრძნობით მოეკიდა. საელჩოებზედ თავ დამსხმელს ჯარში რეულან ცინის ჯარებიც, რომელთაც თან მისივე დროშა ჰქონიათ, მაგრამ შემოწმებული არ არის იმისის თანხმობით უმოქმედნიათ, თუ არა; იმისა გამო, რომ ცინი საზოგადოდ უცხო-ქვეყნელებს მეგობრულად ეკიდებოდა, ჰფიქრობენ, რომ იმის ჯარს მისი ნება-რთვა არა ჰქონიაო.

**პეკინი.** რუსეთის ელჩს ბრძანება მოუვიდა პეკინიდგან გასვლისა.—სერ რობერტ გარტმა აცნობა გენერლებს, რომ ისინი მოემზადნენ მოსალოდნელ სამხედრო მოქმედებისათვის, რადგან ჩინეთის ჯარი ერთად იკრიბება და მისავალ-მოსავალ გზებს ემუქრებაო; იგი იმ აზრისაა, რომ ამ ნოემბრის განმომავლობაში მოხდება საშემდეგისო შეტაკებანიო. მოლაპარაკების დაწყებას არ ეცდებიან ლიხუნჩანგის მოსვლამდე.

**შანჰაი.** ლიხუნგ-ჩანგის წასვლას ჯერ ისევე ხელს უშლის ცუდი ტაროსი.

**ბერლინი.** გერმანიის საელჩოებს ლონდონსა, პარიზსა, პეტერბურგსა, რომსა, ვაშინგტონსა, ვენასა და ტოკიოში საყოველთაო დეპეშები დაეგზავნა, რომელშიაც გერმანიის მთავრობა აცხადებს, რომ თუ ჩინეთს ჰსურს სადიპლომატიო დამოკიდებულება დაიწყოს დიდ სახელმწიფოებთან, უნდა მოგვცეს პირველნი და ჭეშმარიტნი დამწყებნი იმ ბოროტ-მოქმედებათა, რომელნიც პეკინში მოხდა. სახელმწიფოთა წარმომადგენელნი შეიძლებენ მაშინ და გამოარკვევენ, ვინ არიან ეს ბოროტმოქმედნი; მთავრობას იმედი აქვს, რომ მის აზრს ყველა კაბინეტი მიემხრობა და წინადადებას აძლევს მიანდოთ თქვენს პეკინში მყოფ წარმომადგენლებს დაასახელონ უტყუარნი ბრალდებულნი ჩადენილ დანაშაულობათა და მათნი წამქეზებელნიო.

**ჰონგკონგი.** დასავლეთ მდინარედგან ამბავი მოვიდა, რომ იქყოველს ქალაქში გულ-მოდგინე სამხედრო ვარჯიში აქვთ თურმე ჩინეთის ჯმრებს, ასე რომ გემები წინ და უკან დასრიალებენ მდინარეზედაო; აშკარაა, განზრახვა აქვთ რაღაც მოქმედების დაწყებისა. მაგრამ რა მოქმედებისა, ძნელია ამის გამორკვევა.

**ჰონგკონგი.** ვალდერზეე მოვიდა აქ „საქსენ“-ის გემით.

**გლასგო.** დღეს კვლავ ერთი გარდაიცვალა ჭირით. აქამდე სულ 21 სული გამხდარა ავად; მკურნალნი თვალ-ყურს ადევნებენ 110 კაცს.

**პეკინი.** 300 კაცი ამერიკის ცხენოსან ჯარისა ხვალ წავა ჩრდილოეთ აღმოსავლეთისაკენ იქ შევიწროებულ ქრისტიანეთა მისაშველებლად და ადგილ მდებარეობის დასაზვერავად.—ყველა ეროვნებამ განსაკუთრებული სასამართლოები დააწესა; გერმანელები ქურდობისათვის დამნაშავეთ სიკვდილით დასჯას უწყვეტავენ.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

ულრმესს მადლობას ვუცხადებ: შავი-ქვის მწარმოებელთა კრებას, რომელმაც 500 მანეთი გარდაუწყვიტა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელზედ დაარსებულს უფასო სამკითხველოსა და იმ კერძო კაცთ, რომლებმაც 160 მ. შემოსწირეს და რომელთა გვარებიც წლიურ ანგარიშში იქმნება გამოცხადებული; დიდათა ვმადლობთ აგრეთვე ბ-ნს ი. გოგებაშვილს, რომელმაც მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა ორი წილი გადმოგვცა.

ელენე ჯინოევისა

—

დიდს მადლობას ვუცხადებ ქ. ტფილისის მცხოვრებს ზაქარია კოხთაევს, რომელმაც დ. სამტრედიის უფასო წიგნთ-საცავს ცხრა მანეთი შემოსწირა.

დ. სამტრედიის უფასო წიგნთ-საცავის გამგე ვარლამ კალაძე

---


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 9 სექტემბერს, ნაშუადღევის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება

## საჯარო ვაჭრობა,

რომელზედაც იჯარით გაცემული იქმნება მე-2 გუნიბის მოედნის (ქალ. ტფილისის პირველ ნაწილშია) მოკირწყვლის საქმე. მოსაკირწყლავია 232 ოთხ-კუთხი საჟ. სამუშაო 1022 მან. 80 კაპეიკისაა.

მსურველთ პირობანი შეუძლიანთ გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმეებს გარდა, 9-დგან 3 საათამდე.

(3—6.—1)

# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1900—1901 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო მეცნიერება, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ვ. მანუჩარიანცს, ტფილისს. (24—133—22)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 6-го Сентября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე